

სწავლების მეთოდოდიკა  
Methodic of Teaching

ემოციური მდგომარეობა მშობლიური და უცხო ენების  
სწავლა/სწავლების დროს

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ORCID:0000-0001-8490-4813

e-mail: mananamikadze123@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.24>

SJIF 2025: 8.584

ენების შესწავლის უპირველესი მოტივაციაა, იგი უზრუნველყოფდეს კომუნიკაციას [Littewood W.,1996:53]. თანამედროვე მსოფლიოსათვის დღეს პრიორიტეტული გახდა ინგლისური ენის ცოდნა. მილიონობით ადამიანს სურს გაიუმჯობესოს ინგლისური ენის ცოდნა. ინგლისური ენის შესწავლის მრავალგვარი გზა არსებობს, მათ შორის: ფორმალური სწავლება, საზღვარგარეთ სწავლა, სწავლა მედიისა და ინტერნეტის საშუალებით. ინგლისური ენის ცოდნისადმი მსოფლიო მოთხოვნამ დღის წესრიგში დააყენა ასობით რესურსის შექმნის აუცილებლობა. თანაც მსოფლიო ბაზარზე დამსაქმებლების უპირველესი მოთხოვნაა ინგლისური ენის თავისუფალი ფლობა, რაც წინსვლა/წარმატების უპირობო მოთხოვნაა.

მშობლიური და უცხო ენის შესასწავლად ადამიანი ნებისმიერ ასაკში საჭიროებს ემოციურ ფონს, მზაობას, რაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არაერთხელ აღნიშნულა და სხვადასხვა მიდგომებიც სათანადოდ დამუშავებულია.

**საკვანძო სიტყვები:** მშობლიური ენის სწავლება, უცხო ენის სწავლება, ემოციური ფონი

ენების შესწავლის უპირველესი მოტივაციაა, იგი უზრუნველყოფდეს კომუნიკაციას [Littewood W.,1996:53]. თანამედროვე მსოფლიოსათვის დღეს პრიორიტეტული გახდა ინგლისური ენის ცოდნა. მილიონობით ადამიანს სურს გაიუმჯობესოს ინგლისურის ცოდნა. ინგლისური ენის შესწავლის მრავალგვარი გზა არსებობს, მათ შორის: ფორმალური სწავლება, საზღვარგარეთ სწავლა, სწავლა მედიისა და ინტერნეტის საშუალებით. ინგლისური ენის ცოდნისადმი მსოფლიო მოთხოვნამ დღის წესრიგში დააყენა ასობით რესურსის შექმნის აუცილებლობა. თანაც მსოფლიო ბაზარზე დამსაქმებლების უპირველესი მოთხოვნაა ინგლისური ენის თავისუფალი ფლობა, რაც წინსვლა/წარმატების უპირობო მოთხოვნაა.

მშობლიური და უცხო ენის შესასწავლად ადამიანი ნებისმიერ ასაკში საჭიროებს ემოციურ ფონს, მზაობას, რაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არაერთხელ აღნიშნულა და სხვადასხვა მიდგომებიც სათანადოდ დამუშავებულა.

შეიძლება ვთქვათ, რომ კომუნიკაციური მიდგომა ენათმეცნიერთა და პედაგოგთა პროდუქტია, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ენების სწავლების აუდიოლინგვური და გრამატიკული თარგმანის მეთოდებით. ისინი გრძნობდნენ, რომ ენის შემსწავლელი არ სწავლობდა რეალისტურ, მთლიან ენას. მათ არ იცოდნენ, როგორ ეკონტაქტებოდნენ შესაბამისი სოციალური ენის, ჟესტებისა და გამონათქვამების გამოყენებით; მოკლედ, ისინი ვერ ახერხებდნენ კომუნიკაციას შესასწავლი ენის კულტურაში. XX საუკუნის 70-იან წლებში საკმაოდ პოპულარული გახდა ავთენტური ენის გამოყენება და მისი მთარგმნელობით დონეზე აყვანა, როცა მოსწავლეები/სტუდენტები ერთმანეთთან იყვნენ რეალურ კომუნიკაციაში. „კომუნიკაცია გულისხმობს იმას, რომ ვინმემ გაიგოს, რისი თქმა გსურს, რასაც ხშირად ენობრივ გზავნილს უწოდებენ“ [ტ. ლინჩი, 2001;3].

კონცეპტი „კომუნიკაციური მიდგომა (CA) შეიმუშავა რობერტ ლენგსმა 1970-იანი წლების დასაწყისში. ეს არის ემოციური ცხოვრებისა და ფსიქოანალიზის ახალი თეორია ან პარადიგმა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის ადაპტაციაზე ემოციურად დამუხტულ მოვლენებზე, რომ ასეთი ადაპტაციები ხდება როგორც ცნობიერებაში, ასევე ცნობიერების გარეთ.

ენის სწავლება იყენებს რეალურ სიტუაციებს, რომლებიც საჭიროებენ კომუნიკაციას. მასწავლებელი აყალიბებს სიტუაციას, რომელსაც მოსწავლეები სავარაუდოდ შეხვდებიან რეალურ ცხოვრებაში. ენის სწავლების აუდიოლინგვური მეთოდისაგან განსხვავებით, რომელიც ეყრდნობა გამეორებას და სავარჯიშოებს, კომუნიკაციურმა მიდგომამ შეიძლება უკანაც დახიოს მოსწავლეები საკლასო ვარჯიშის შედეგთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება მათი რეაქციებისა და პასუხების მიხედვით. რეალური სიმულაციები ყოველდღიურად იცვლება. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია საკომინიკაციო თემა თავადაც შეარჩიოს და ენის ცოდნა ამ გზით გაიუმჯობესოს.

კომუნიკაციური ენის სწავლების დარგის ექსპერტი მარგი ს. ბერნსი წერს, რომ „ენა არის ურთიერთქმედება; ეს არის ინტერპერსონალური აქტივობა და აქვს მკაფიო ურთიერთობა საზოგადოებასთან. ენა კონტექსტში, როგორც მის ენობრივ კონტექსტში, ასევე მის სოციალურ, ან სიტუაციურ კონტექსტში [Berns, 1984:5].

კომუნიკაციური ენის სწავლება ხასიათდება როგორც სწავლების ფართო მიდგომა და არა როგორც სწავლების მეთოდი მკაფიოდ განსაზღვრული საკლასო/სააუდიტორო პრაქტიკით. როგორც ასეთი, ის ყველაზე ხშირად განისაზღვრება, როგორც ზოგადი პრინციპებისა და მახასიათებლების ჩამონათვალი. პროგრესულია დევიდ ნუნანის მიერ შემუშავებული კომუნიკაციური ენის სწავლების 5 მახასიათებელი:

◆სამიზნე ენაზე ურთიერთქმედების გზით კომუნიკაციის სწავლება;

◆ავთენტური ტექსტების შეტანა სასწავლო სიტუაციაში;

◆სწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფა მხოლოდ მშობლიურ ენასთან შედარება-შეპირისპირებით;

◆მოსწავლის/სტუდენტის საკუთარი პირადი გამოცდილების გაძლიერება, როგორც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ელემენტი საკლასო/სააუდიტორო სწავლებაში;

◆საკლასო და კლასგარეშე ენობრივი აქტივობების გაერთიანება

ამ ხუთ მახასიათებელს ამტკიცებენ კომუნიკაციური ენის სწავლების პრაქტიკოსები, რათა აჩვენონ, რომ მათ აინტერესებთ მათი მოსწავლეების/ სტუდენტების საჭიროებები და სურვილები, ისევე როგორც კავშირი ენებს შორის, ნებისმიერი სასწავლო პრაქტიკა, რომელიც ეხმარება შემსწავლელს განავითარონ თავიანთი კომუნიკაციური კომპეტენცია ავთენტურ კონტექსტში, ითვლება სწავლების სასარგებლო ფორმად. კლასში კომუნიკაციური ენის სწავლება წყვილებში და ჯგუფური მუშაობის დროს უფრო საინტერესო სახეს იღებს. მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულები ხდებიან, რადგანაც როლური თამაშებით ისინი ვარჯიშობენ და ივითარებენ ენობრივ ფუნქციებს, ასევე გონიერებას, გრამატიკისა და გამოთქმის ორიენტირებულ აქტივობებს.

როგორც მშობლიური, ისე უცხო ენის სწავლების დროს სასურველია დაიგეგმოს ასეთი ნაბიჯები:

◆სიტუაციის ან კონტექსტის პრეზენტაცია მოკლე დიალოგით ან რამდენიმე მინი დიალოგით, რომელსაც წინ უძღვის მოტივაციური აქტივობა, რომელიც დიალოგს აკავშირებს მოსწავლეთა გამოცდილებასთან და ინტერესებთან. ეს მოიცავს ფუნქციისა და სიტუაციის განხილვას; ადამიანები, როლები, გარემო, თემა.

◆დისკუსია კომუნიკაციური განზრახვის განსახორციელებლად ლექსიკისა და ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით.

◆კითხვა-პასუხი დიალოგის თემაზე და სიტუაციიდან გამომდინარე

◆დიალოგთან ერთად სურათების აღწერა

◆მოდელებით, რეფერატებით საუბრის წარმართვა

◆ზეპირი ამოცნობა და ინტერპრეტაციის აქტივობები, მათ შორის ზეპირი კომუნიკაცია

◆კითხვისა და წერის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ფორმების გამოყენება

◆კითხვა-პასუხებით მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დიალოგი

◆მოსწავლეთა მიერ ახალი თემების წინ წამოწევა და მათზე ზეპირი და წერილი დავალებების შესრულება

◆ახალი სიტუაციების დაგეგმვა ენის კომპეტენციების გასაუმჯობესებლად.

კომუნიკაციური ენის სწავლება ასევე გულისხმობს ახალ როლებს კლასში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საკლასო აქტივობებში, რომლებიც დაფუძნებულია სწავლის მიმართ კოოპერატიულ და არა ინდივიდუალისტურ მიდგომაზე. მოსწავლეებში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის დროს უნდა იყოს აბსოლუტური სმენადობა, მასწავლებლებმა შეცდომების გამოყოფის დროს უნდა გამორიცხონ მოსწავლეთა დაცინვისა და შეჩვენების ფორმა. მასწავლებელმა უფრო მსაჯის ან მონიტორის როლი უნდა შეასრულოს.

მასწავლებელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, ზოგადად სწავლის, კონკრეტულად ენის სწავლების ბუნება და მოსწავლეს საკუთარი წვლილი მის განვითარებაში. სწავლა ხომ მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალურად, ისე სოციალურად გაზიარებულად. მასწავლებელს ესაჭიროება სხვადასხვა სპეციფიკური უნარ-ჩვევები, რათა გამოიყენოს ეს ცოდნა კლასის სასწავლო გამოცდილებაში, მათ შორის ენის ცოდნის მაღალი ხარისხი; სწავლებისადმი კრიტიკული, მოქნილი და ექპერიმენტული მიდგომა; ენის შესწავლაში პროცესისა და პროდუქტის ურთიერთქმედების გააზრება და ამ ცნობიერების გამოყენების უნარი საკლასო

პროცედურებსა და ტექნიკაში. კომუნიკაციური კომპეტენციის გასაზრდელად მასწავლებელს აქვს ორი დიდი როლი:

◆კლასში კომინიკაციის პროცესის ხელშეწყობა

◆სწავლა-სწავლების ჯგუფში დამოუკიდებელი მონაწილისა. მასწავლებელი რესურსების ორგანიზატორი, მოტივატორი, მრჩეველი, ანალიტიკოსი და მკვლევარია.

კომუნიკაციური მიდგომა ხაზს უსვამს, რომ ენის სათანადოდ გამოყენების უნარი არის კომუნიკაციური კომპეტენციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. გრამატიკული კომპეტენცია და ლექსიკური ცოდნა არ არის საკმარისი, მოსწავლეებმა რომ შეძლონ ეფექტურად გამოიმუშაონ სამიზნე ენაზე, მათ უნდა შეეძლოთ იმ სამეტყველო მოვლენის შესაბამისი ენის გამოყენება, რომელშიც აღმოჩნდებიან. კომუნიკაბელური მიდგომა ენას განიხილავს, როგორც კომუნიკაციის საშუალებას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ კომუნიკაციური კომპეტენცია ფართო ცნებაა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის/სტუდენტის კომუნიკაციური კომპეტენციების გაუმჯობესებას.

### ლიტერატურა:

1. Berns, S.(1984). Communicative Language.p.5.
2. Coakley and Wolvin. (1991).Listening in the educational environment. P.21-53
2. Littlewood,W.(2007)Communicative Language Teaching. p. 6-35.
3. Littlewood,W.(1996).Foreign and Second Language Learning. Cambridge University Press.P.53-88.
4. Lynch, T.(2001). Communication in the Language Classroom. Oxford University Press.p.3-15.
- 5.Richards,J. Renandya,W.(2001) Methodology in Language Teaching.

**Manana Mikadze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

ORCID:0000-0001-8490-4813

e-mail: mananamikadze123@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.24>

**SJIF 2025:** 8.584

## Emotional State in the Process of Foreign Language Teaching /Learning

### Abstract

The primary motive for learning a language is that it provides a means of communication [Littlewood,W.1996.: 53].The ever-growing need for good communication skills in English has created a huge demand of English teaching around the world. Millions of people today want to improve their skills in English. Opportunities to learn English are provided in many different ways such as through formal instruction, study abroad, as well as through the media and the internet. The world-wide need for English has created an enormous demand for quality language teaching materials and recourses. Learners want to be able to master English to a high level of accuracy and fluency. Employers too

insist that their employees have good English language skills, and fluency in English is a prerequisite for success and advancement in many fields of employment in today's world. The demand for an appropriate teaching methodology is therefore as strong as ever.

The full name of the Communicative Approach is "The Communicative-Adaptive approach." This highlights the two most distinctive features of the CA: first, that it is a new way to understand human emotionally-laden communications and second, that it has shown that the primary function of the emotion-processing mind is to cope with - adapt to - immediate emotionally-charged triggering events.

**Key words:** Teaching/learning native language, teaching/learning foreign language, emotional background

**რეგენზენტი:** პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა